საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპოზიცია“
მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

შემოქმედებითი ტურები:

1. კომპოზიცია;
2. მუსიკის თეორია:
სოლფეჯიო (წერა) /კარნახი, სმენითი ანალიზი/;
ტესტი მუსიკის თეორიის დისციპლინებში (წერა);
10 ხალხური სიმღერის გამოცნობა (წერა);
მუსიკალური ლიტერატურა (ზეპირი);
უცნობი საფორტეპიანო ნაწარმოების ფურცლიდან კითხვა.

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით;
დადებითი შეფასებაა 51-100.

კომპოზიცია
1. შეთხზული ნაწარმოებების წარდგენა:
   ა) ერთი საფორტეპიანო პიესა;
   ბ) მცირე ფორმის ერთი ინსტრუმენტული ანსამბლი (დუეტიდან დაწყებული ნონეტის ჩათვლით);
   გ) ერთი ვოკალური ნაწარმოები (სიმღერა ან რომანსი)
   დ) ერთი მცირე ფორმის საგუნდო ნაწარმოები.
2. მოცემულ თემაზე ნაწარმოების შექმნა (სამუშაო დრო – 3 ასტრონომიული საათი).

მუსიკის თეორია

<u>სოლფეჯიო (წერა)</u>
შენიშვნა: აბიტურიენტებმა კარნახი და სმენითი ანალიზი უნდა ჩაწერონ აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებული) მიხედვით.

კარნახი:
აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს ორხმიანი კარნახი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საშუალო რგოლში სოლფეჯიოს კურსის პროგრამის მოთხოვნები. ჩაწერის დრო – 30 წთ.

სმენითი ანალიზი:
1. კილო. სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული).
2. ინტერვალი. მარტივი და შედგენილი. ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული (+4; –5; –4; +5; +2; –7; –3; +6) გადაწყვეტით.
3. აკორდი. მჭიდრო და ფართო განლაგებით.
   სამხმოვანება: მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის.
   სეპტაკორდი: მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით; შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში).
   ნონაკორდი მაჟორული – დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე.

4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.
5. მოდულირებული პერიოდი ტონალური გეგმის განსაზღვრით (ტონალობათა I ხარისხის ნათესაობა, მაგალითი მხატვრული ლიტერატურიდან ან შედგენილი).

საგამოცდო ბილეთის ნიმუში სმენით ანალიზში:

1. კილო: 1) მაჟორული პენტატონიკა, 2) ფრიგიული კილო, 3) მელოდიური მაჟორი, 4) ორმაგად ჰარმონიული მინორი, 5) ლიდიური კილო. (იკვრება 2-ჯერ)
2. ინტერვალი: 1) პ.6, 2) –3, 3) წმ.5 (შ), 4) პ.2, 5) დ.7 (შ). (იკვრება 2-ჯერ)
3. აკორდი: 1) მც.მინ. 2, 2) მაჟ.64 (ფ), 3) შემც.6, 4) მც.შემც.43 (ფ), 5) მც.მაჟ.65 (ფ). (იკვრება 2-ჯერ)
4. აკორდული თანმიმდევრობა: (იკვრება 3-ჯერ)
5. მოდულირებული პერიოდი: ბეთჰოვენი. საფორტეპინო სონატა N10, თხზ. 14 N2 II ნაწილი, პირველი პერიოდი. (იკვრება 3-ჯერ)

<u>ტესტი მუსიკის თეორიის დისციპლინებში</u>

ტესტი შეიცავს:
ა) მელოდიის ჰარმონიზაციას (8 - 10 ტტ),
ბ) ჰარმონიულ ანალიზს
(მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).

მოთხოვნები ჰარმონიულ ანალიზში:

საანალიზოდ აბიტურიენტს ეძლევა ერთი მაგალითი მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ- ან სამნაწილიანი, რთული სამნაწილიანი, ვარიაციული, რონდოს, რონდო-სონატის ან სონატური ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები, კადანსები, ფაქტურა, აკორდიკა, ჰარმონიული საქცევები და განათლების საშუალო რგოლის ჰარმონიის სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოვლენები.

<u>მუსიკალური ლიტერატურა</u>

გამოცდა ტარდება ზეპირი სახით: აბიტურიენტმა უნდა ისაუბროს ბილეთში მოცემული საკითხების ირგვლივ (ჟანრის/ტერმინის განმარტებასა და კონკრეტულ ნაწარმოებზე).

ბილეთების საკითხები:
1. ტემპერირება და ი.ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირი“
2. მესის ჟანრი და ი.ს. ბახის „მაღალი“ მესა სი მინორი
3. სიმფონიის ჟანრი და ი. ჰაიდნის №103 სიმფონია „ლიტავრების ტრემოლოთი“/ ვ.ა.მოცარტის №40 სიმფონია/ ლ. ვ. ბეთჰოვენის №3 ან №5 სიმფონია/ ფ. შუბერტის №8 „დაუმთავრებელი სიმფონია“/ ანდრია ბალანჩივაძის სიმფონია №1
4. სონატური ფორმა და ლ.ვ. ბეთჰოვენის №8 „პათეტიკური სონატა“ ან №14 „მთვარის სონატა“
5. სიმღერის ჟანრი და ფ.შუბერტის სიმღერები (აბიტურიენტის შერჩევით)
6. ოპერის ჟანრი და ვ.ა.მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“/ ვერდის „რიგოლეტო“ ან „ტრავიატა“/ ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ ან „აბესალომ და ეთერი“/ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“
7. ბალეტის ჟანრი და პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“

<u>ქართული ხალხური სიმღერები</u>

უნდა განისაზღვროს სიმღერის სახელწოდება და კუთხე:

1. ნანა (ხევსურული) – მზეთამზე. ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები. II, 2000. კომპაქტდისკი.
2. ჯვარი წინასა (ფშაური) – *Mtiebi. 24 Years Have Passed Through Singing.* 2004. კომპაქტდისკი.
3. დალა (თუშური) – *Mtiebi. 24 Years Have Passed Through Singing.* 2000. კომპაქტდისკი.
4. დიდება (მოხეური) – მთიები. 1996. კომპაქტდისკი.
5. ლომისური (მთიულური) – მთიები. 1996. კომპაქტდისკი.
6. მრავალჟამიერი (ქართლ-კახური) – თელაველები. თელავის გუნდი 1939-1970. ქართული ხალხური სიმღერები. კომპაქტდისკი.
7. ურმული (ქართლ-კახური) – სანდრო კავსაძე. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. უნიკალური ფონოჩანაწერები. 2007. კომპაქტდისკი.
8. ჭონა (ქართლ-კახური) – ანზორ კავსაძე. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. უნიკალური ჩანაწერები. 2007. კომპაქტდისკი.
9. ოქრომჭედელო (მესხური) – მზევ, შინ შემოდიო! ქართული ხალხური საბავშვო მუსიკა. თბ., 2004. II კომპაქტდისკი.
10. მირანგულა (სვანური) – სოფელ ლატალის (მესტიის რ-ნი) სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. 1980. გრამფირფიტა.
11. ყანსავ ყიფიანე (სვანური) – ფოლკლორული ანსამბლი ლატალი. 2010. კომპაქტდისკი.
12. ზრუნი (რაჭული) – მზეთამზე. ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები. I, 1996 . კომპაქტდისკი.
13. დალიე (რაჭული) ასი ქართული ხალხური სიმღერა. მღერის ანსამბლი „რუსთავი“. 1989. III გრამფირფიტა.
14. ლაჭეპი და ოფიტარა (ლეჩხუმური) – ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება. სახელმძღვანელო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტთათვის, ორი კომპაქტდისკით. თბ., 2005. I კომპაქტდისკი.
15. ხერტლის ნადური (აჭარული) – მზეთამზე. ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები. I, 1996. კომპაქტდისკი.
16. ოისა (აჭარული) – ლაშარი. ქართული ხალხური სიმღერები. I, 2004. კომპაქტდისკი.
17. ჩარი-რამა (იმერული) – სანავარდო. სამტრედიის რაიონის ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი. 1988. გრამფირფიტა.
18. იმერული მხედრული – გეორგიკა. III, 1996. კომპაქტდისკი.
19. ოდოია (მეგრული) – ჰარირა. მეგრული სიმღერები. 2003. კომპაქტდისკი.
20. ჭიჭე ტურა (მეგრული) – შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერები. მეგრული სიმღერები. I კომპაქტდისკი.
21. ბატონებო (გურული) – არტემ ერქომაიშვილი. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. უნიკალური ფონოჩანაწერები. 2007. კომპაქტდისკი.
22. ხასანბეგურა (გურული) – ხასანბეგურა. ერთი შედევრი. კომპაქტდისკი.
23. ჰაა, ნანი (ლაზური) – მზეთამზე. ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები. I, 1996. კომპაქტდისკი.
24. დილის საარი (ქალაქური) – *Soinari. Folk Music from Georgia Today.* 1992 . კომპაქტდისკი.
25. გაზაფხული (ქალაქური) – ანჩისხატის ტაძრის გუნდი. ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“ (1999-2000 წლების საკონცერტო ჩანაწერი). კომპაქტდისკი.